საქართველოს იუსტიციის მინისტრს

ქალბატონ თეა წულუკიანს

ქალბატონო თეა,

ღრმად ვარ დარწმუნებული თქვენს გულწრფელ ძალისხმევაში უზრუნველყოთ პროკურატურის სისტემის რეფორმირება და ამ უმნიშვნელოვანესი უწყების ჯანსაღი ფუნქციონირება, რომლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი განმსაზღვრელი სწორედ რომ რაციონალური საკადრო რეფორმაა; ასევე მტკიცედ მჯერა თქვენი ობიექტურობის და სწორედ ამ გარემოებათა გამო გადავწყვიტე მოგმართოთ წარმოდგენილი განცხადებით და გთხოვოთ განიხილოთ ჩემი კანდიდატურა საქართველოს მთავარი პროკურორის თანამდებობაზე წარსადგენად.

მე გახლავართ კოტე ჭილაია, საქართველოს მოქალაქე, აფხაზეთიდან დევნილი, 41 წლის, კვალიფიკაციით იურისტი, 1997 წელს წარჩინებით დავამთავრე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თსუ სოხუმის ფილიალის ისტორია–იურიდიული ფაკულტეტი და მომენიჭა იურისტის კვალიფიკაცია, წარმატებით მაქვს ჩაბარებული: პროკურატურის, ადვოკატთა და მოსამართლეების საკვალიფიკაციო გამოცდები როგორც სისხლის სამართლის ისე საერთო სპეციალიზაციით, კვალიფიკაციის ამაღლების ფარგლებში გავლილი მაქვს სხვადასხვა ტრენინგ–კურსები შსს–ს აკადემიაში, 1999 წლიდან დღემდე ვმუშაობ სპეციალობით, შევიძინე მნიშვნელოვანი პრაქტიკული გამოცდილება სამართლის სფეროში, მათ შორის მაქვს გამომძიებლად მუშაობის გამოცდილება (2003 წლიდან 2007 წლამდე ვმუშაობდი ფინანსური პოლიციის საგამოძიებო დეპარტამენტში). ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე მთელი პასუხისმგებლობით შემიძლია მოგახსენოთ, რომ ჩემი შეგნებული ცხოვრების მანძილზე პირად და საზოგადო ცხოვრებაში ჩემს მიერ გადადგმული თითოეული ნაბიჯის ორიენტირი იყო და არის: სამართლიანობა, კანონიერება, ღირსება, პატიოსნება, სამშობლოს სიყვარული და უფლის რწმენა. ცხოვრებაში მრავალი გასაჭირისა და გამოცდის მიუხედავად არასოდეს მიღალატია ამ ფასეულობებისათვის და ბედნიერი ვარ კიდეც, რომ ვრჩები მართალი უფლის, სინდისისა და სიმართლის წინაშე. სწორედ რომ ამ ფასეულობებისადმი ერთგულების გამო 2007 წელს მივიღე გადაწყვეტილება გამომძიებლის თანამდებობაზე უარის თქმისა. მთელი გულწრფელობით მინდა მოგახსენოთ, რომ გადამეტებული სურვილი და ამბიცია არასდროს მქონია და არც ახლა მაქვს, მსურს მხოლოდ ის, რომ მომეცეს შესაძლებლობა მთელი ჩემი ღირსებით და ცოდნით ვემსახურო ქვეყანასა და სამართალს.

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
ადმინისტრაცია (დეპარტამენტი)
საქმისწარმოების სამმართველო
31 10 15
№ 04/18364

ქალბატონო თეა, მინდა დაგარწმუნოთ, რომ ამ განცხადებაში აღნიშნული თითოეული სიტყვა სრული სიმართლეა და ვეყრდნობი რა ამ სიმართლეს, თავს უფლებას ვაძლევ გთხოვოთ განიხილოთ ჩემი კანდიდატურა საქართველოს მთავარი პროკურორის თანამდებობაზე წარსადგენად.

პატივისცემით კოტე ჭილაია 29.10.2015წ.


თბილისი, მუხიანის მე– 4ბ მ/რ,

კორპ. 45, ბინა 24

ტელ: 577055747

ქალბატონო თეა,

თქვენ, ჩვენი ქვეყნის პროგრესული სამართლებრივი რეფორმის განმახორციელებელი უწყების ხელმძღვანელს მოგეხსენებათ, რომ პროკურატურის სისტემის სრულყოფილი რეფორმის უზრუნველსაყოფად მიზანშეწონილი იქნება მთავარ პროკურორად კანდიდატის უწყების გარედან შერჩევა, რომლის წარსული არ იქნება დაკავშირებული „ ადამიანისა უფლებათა დათავისუფლებათა ფეხქვეშ გამთელავი „ადეიშვილის პროკურატურასთან", რომელი პროკურატურაც და პროკურორების უდიდესი ნაწილი სრულიად საფუძვლიანად საზოგადოებაში ასოცირდებიან უკანონობასა და უსამართლობასთან"; კანდიდატად სასურველია შეირჩეს პიროვნება, რომელიც არ იქნება „დავალებული" და „შებოჭილი" არსებული პროკურატურით, რომელსაც ექნება ნება და შესაძლებლობა გაბედული და სწორი საკადრო ცვლილებების განხორციელებისა, სისტემის ღირსებითა და სამართლიანობის პატივისცემით აღსავსე პროფესიონალი კადრებით დაკომპლექტებისა, ყოველივე ამის უზრონველსაყოფად კი კანდიდატი პროფესიონალიზმთან ერთად უპირველეს ყოვლისა უნდა იყოს კეთილსინდისიერი და მის პროგრამაში არ უნდა შეინიშნებოდეს არავითარი ნიშანი პოპულიზმისა, რასთან დაკავშირებით ყორადსაღები უნდა იყოს ის ფაქტორი, რომ კანდიდატი, რომელიც განაცხადებს „ამა თუ იმ ვადაში უზრუნველვყოფ გახმაურებული საქმეების გახსნას", სწორედ რომ პოპულისტი იქნება და ნამდვილად ვერ შეძლებს პროკურატურის ჯანსაღ რეფორმირებას.

კოტე ჭილაია





# კოტე ჭილაია

თბილისი, მუხიანის IV ბ მ/რ, კორპუსი 45, ბ 24
Tel: 5 77055747
Email: kotechilaia@yahoo.com
დაბადების თარიღი: 03/12/1973
ადგილი: ქ. სოხუმი

რეგისტრაციის ადგილი: ქ. სოხუმი, გუმისთა, რუსთაველის ქ. 137

ოჯახური მდგომარეობა: დაოჯახებული

ოჯახის შემადგენლობა:

დედა – ლიანა ჭილაია, დაბადებული 25.09.1950წ. სოხუმი, შრომისუნარშეზღუდული (მე-2 ჯგუფის ინვალიდი), საქართველოს მოქალაქე;

მამა – ვალერი ჭილაია, დაბადებული 20.03.1949წ. სენაკი, აფხაზეთის ომის ვეტერანი, შრომისუნარშეზღუდული (მე-2 ჯგუფის ინვალიდი), საქართველოს მოქალაქე;

მეუღლე – ნატო თუნგია დაბადებული 1.09.1979წ. გალის რაიონ სოფ. მუხური, აფხაზეთიდან დევნილი, საქართველოს მოქალაქე, არასრული უმაღლესი განათლებით, დიასახლისი;

შვილი – ანანო ჭილაია, დაბადებული 12.03.2010 წ. თბილისი;

(ძმა ნუკრი ჭილაია დაბადებული 23.09.1974 წ. 1992 წლის ოქტომბერში დაიღუპა სოხუმის დაცვისათვის ბრძოლაში).

სამუშაო გამოცდილება:

1997.11 – 1999.10 - დამოუკიდებლად ვეწეოდი კერძო საადვოკატო საქმიანობას

1999.11 – 2000.05 – საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, "ქალაქის ადვოკატის პროექტი" – ადვოკატი

2000.06 – 2001.07 – იურიდიული ფირმა შპს "მაატი" - ადვოკატი

2003.09 – 2003.11 – აფხაზეთის შს სამინისტროს საორგანიზაციო-ანალიტიკური სამსახური – ინსპექტორი

2003.11 – 2004.03 – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა სამმართველო - სპეციალისტი

2004.03 – 2005.10 – ფინანსური პოლიციის საგამოძიებო დეპარტამენტის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა სამმართველო – რეფერენტი

2005.10 – 2007.01 – ფინანსური პოლიციის საგამოძიებო დეპარტამენტის ქ. თბილისის მთავარი სამმართველო – გამომძიებელი

2009.10-დან – შემოსავლების სამსახურის მომსახურების დეპარტამენტი - მთავარი ოფიცერი

2013.05-დან კონკურსის საფუძველზე ჩარიცხული ვარ პროკურატურის ორგანოებში დასაქმების მსურველ პირთა მონაცემების ერთიან ბაზაში.

სამხედროვალდებული.

სპეციალური წოდება: უფროსი ლეიტენანტი

## განათლება:

1980 – 1991 – კონსტანტინე ლესელიძის სახელობის აჩადარის საშუალო სკოლა

1991 – 1997 – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თსუ სოხუმის ფილიალის იურიდიული ფაკულტეტი, კვალიფიკაცია – იურისტი

2005 – ფინანსთა სამინისტროს სასწავლო ცენტრი, ფინანსური აღრიცხვის კურსი

2008 – შსს აკადემიაში გავიარე კრიმინალური პოლიციის საუბნო სამსახურის საბაზისო მომზადების კურსი

2009 – შსს აკადემიაში გავიარე ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის გადასახადების გადამხდელთა ადმინისტრირების მიმართულების სტრუქტურული ერთეულების მოსამსახურეთა მომზადების კურსი

2011 – შსს აკადემიაში გავიარე საგადასახადო ტრენინგ-კურსი.

2011 – ტრენინგ–ცენტრში გავიარე ფსიქოლოგიის კურსი

## სერტიფიკატები:

2009 – მოსამართლეობის საერთო საკვალიფიკაციო გამოცდა

2007 – ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდა სამოქალაქო სამართლის სპეციალიზაციაში

2005 – მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა სისხლის სამართლის სპეციალიზაციაში

2003 – პროკურატურის მუშაკთა საკვალიფიკაციო გამოცდა

## ენები:

| | | |
|---|---|---|
| ქართული | – | მშობლიური |
| ინგლისური | – | კარგად |
| რუსული | – | სრულყოფილად |

## კომპიუტერული პროგრამების ცოდნა:

ძირითადი Windows-პროგრამები: Word, Excel, Internet